მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

2025 წელი

I. მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
I. შემოსავლები	**50,030.3**	**33,097.8**	**16,932.4**	**59,491.7**	**43,453.6**	**16,038.1**
გადასახადები	27,274.7	27,274.7	-	30,611.5	30,611.5	-
გრანტები	16,947.6	15.1	16,932.4	16,053.2	15.1	16,038.1
სხვა შემოსავლები	5,808.0	5,808.0	-	12,827.0	12,827.0	-
II. ხარჯები	**42,681.2**	**40,523.2**	**2,158.0**	**38,149.8**	**36,126.0**	**2,023.8**
შრომის ანაზღაურება	5,697.3	5,697.3	-	5,207.9	5,207.9	-
საქონელი და მომსახურება	11,205.8	9,787.3	1,418.5	9,092.8	7,806.8	1,286.0
პროცენტი	27.8	27.8	-	24.7	24.7	-
სუბსიდიები	19,738.8	19,468.5	270.3	19,173.3	18,903.0	270.3
გრანტები	192.0	192.0	-	192.0	192.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,327.1	1,327.1	-	1,218.9	1,218.9	-
სხვა ხარჯები	4,492.4	4,023.2	469.2	3,240.3	2,772.8	467.5
III. საოპერაციო სალდო	**7,349.1**	**- 7,425.4**	**14,774.4**	**21,341.8**	**7,327.6**	**14,014.2**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**43,241.9**	**25,963.6**	**17,278.3**	**9,534.0**	**- 5,609.1**	**15,143.1**
ზრდა	44,171.9	26,893.6	17,278.3	32,258.7	17,115.6	15,143.1
კლება	930.0	930.0		22,724.7	22,724.7	-
V. მთლიანი სალდო	**- 35,892.8**	**- 33,389.0**	**- 2,503.8**	**11,807.8**	**12,936.7**	**- 1,128.9**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**- 36,018.5**	**- 33,514.7**	**- 2,503.8**	**11,682.1**	**12,810.9**	**- 1,128.9**
ზრდა	**-**	**-**	**-**	**12,810.9**	**12,810.9**	**-**
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	12,810.9	12,810.9	-
კლება	**36,018.5**	**33,514.7**	**2,503.8**	**1,128.9**	**-**	**1,128.9**
ვალუტა და დეპოზიტები	36,018.5	33,514.7	2,503.8	1,128.9	-	1,128.9
VII. ვალდებულებების ცვლილება	**- 125.7**	**- 125.7**	**-**	**-125.7**	**- 125.7**	**-**
კლება	**125.7**	**125.7**	**-**	**125.7**	**125.7**	**-**
საშინაო	125.7	125.7	-	125.7	125.7	-
სესხები	125.7	125.7	-	125.7	125.7	-
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**-**

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათასი ლარი

დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსულობები	**50,960.3**	**34,027.8**	**16,932.4**	**82,216.4**	**66,178.3**	**16,038.1**
შემოსავლები	50,030.3	33,097.8	16,932.4	59,491.7	43,453.6	16,038.1
არაფინანსური აქტივების კლება	930.0	930.0	-	22,724.7	22,724.7	-
გადასახდელები	**86,978.8**	**67,542.5**	**19,436.3**	**70,534.3**	**53,367.4**	**17,167.0**
ხარჯები	42,681.2	40,523.2	2,158.0	38,149.9	36,126.0	2,023.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	44,171.9	26,893.6	17,278.3	32,258.7	17,115.6	15,143.1
ვალდებულებების კლება	125.7	125.7	-	125.7	125.7	-
ნაშთის ცვლილება	**- 36,018.5**	**-33,514.7**	**- 2,503.8**	**11,682.1**	**12,810.9**	**- 1,128.9**

2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 36 009,4 ათას ლარს შეადგენდა.

2024 წელს ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 11 682,1 ათასი ლარი.

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა **50 960,3** ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა **82,216.4** ათ.ლარი, ანუ გეგმის 161% .

ათასი ლარი

დასახელება	2024 წლის ბიუჯეტი	2024 წლის საკასო შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	**50,960.3**	**82,216.4**	**161**
შემოსავლები	50,030.3	59,491.7	119
არაფინანსური აქტივების კლება	930.0	22,724.7	2,444

შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა **50 030,3** ათასი ლარი, ფაქტობრივად **59 491,7** ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 118,9% და მთლიანი შემოსულობების (**82 216,4** ათასი ლარი) - 72,4% შეადგინა (დანართი N1).

2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (48 603.0 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 10 888.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

შემოსავლების სახეობების მიხედვით 2024 წელი



1. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 30 611,5 ათასი ლარი, 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (26 336,2 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 4 275,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 17 490,9 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 12 643,3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 1 179,7 ათასი ლარი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადიდან - 3 663.0 ათასი ლარი.

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის ფაქტი - 16 137,3 ათასი ლარი) შედარებით საანგარიშო პერიოდში 1 353,6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადებზე მოდის (2023 წლის ფაქტი - 11 408,7 ათასი ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 13 120,6 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (10 198,9 ათასი ლარი) შედარებით 2 921,7,6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულების %
გადასახადები	**27,274.7**	**30,611.5**	**3,336.8**	**112.2**
დამატებითი ღირებულების გადასახადი	**12,824.7**	**13,120.6**	**295.9**	**102.3**
ქონების გადასახადი	**14,450.0**	**17,490.9**	**3,040.9**	**121.0**
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	11,000.0	12,643.3	1,643.3	114.9
უცხოურ საწარმოთა ქონება	0.0	4.8	4.8	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	270.0	1,179.7	909.7	436.9
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	370.0	559.1	189.1	151.1
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	2,810.0	3,104.0	294.0	110.5

2. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია - 16 053,2 ათასი ლარი, გეგმის -16 947,6 ათასი ლარის - 94,7% :

საერთაშორისო გრანტი (მთავრობის განკარგულება N621 30.04.2024წ) - უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისგან - „გოეთეს ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში“ - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს ფარგლებში გამოყოფილი გრანტი - 15,1 ათასი ლარი.

მიზნობრივი ტრანსფერი - 924,9 ათასი ლარი, მათ შორის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 270,3 ათასი ლარი და საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N56 15.01.24წ.) - 654,6 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - 12 638,1 ათასი ლარი, მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის: მთავრობის განკარგულება N2402 28.12.2023 წ. - 8 111,3 ათასი ლარი და მთავრობის განკარგულება N860 14.06.2024წ. – 3 230,4 ათასი ლარი;

დაფინანსდა შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები მუნიციპალიტეტის სოფლებში: ნიჩბისი, ლისი, მისაქციელი (მე-8 და მე-11 მონაკვეთები), არაშენდა, მუხრანი (სამების სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი), წეროვანი (იგპ დასახლება), გოროვანი, წინამძღვრიანთკარი, ძველი ქანდა, საგურამო (33-ე და 36-ე ქუჩა), ახალუბანი (სასაფლაოსთან მისასვლელი გზა), ნავაზი, წილკანი (სელექციის დასახლება), წილკანი (იგპ დასახლება); სოფ. წეროვანში შიდა საუბნო გზების ასფალტ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები და სოფ. წილკნის და წეროვნის დამაკავშირებელი გზის ასფალტ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები; სოფ. წილკანში წყალმომარაგების ჭაბურღილების, რეზერვუარების და მილსადენების მოწყობის სამუშაოები. ასევე, შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა სოფლებში: მუხრანი (აზ.უბანი, არენის სასაფლაო, ჭაობის უბანი), გალავანი, ზაქარო, ჩარდახი, ძალისი (N2 გზა), წეროვანი (კვლევითი ინსტიტუტის დასახლება) .

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N2401 28.12.2023წ) - 846,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში (სოფლებში) საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად განხორციელებული მცირე - 60 ათას ლარამდე ღირებულების - სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები და მასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების: შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, მოხრეშა-მოწესრიგება, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, სკვერების, სტადიონების, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისთვის (მთავრობის განკარგულება N1025 23.07.2024წ.) - 450,4 ათასი ლარი;

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად დაფინანსდა: ქ. მცხეთაში, თეატრონის ტერიტორიაზე მიწის მოსწორება, გარე განათების ქსელის მოწყობა ქ. მცხეთაში, თეატრონის ტერიტორიაზე და სოფ. საგურამოში; გზების მოხრეშა სოფლებში: საგურამო, მუხრანი, ნატახტარი, ძეგვი, ნიჩბისი; ქ. მცხეთაში, საცხოვრებელი კორპუსების შიდა წყალარინების ქსელის სარემონტო სამუშაოები; სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია სოფ. ნატახტარში; ტუმბოების შესყიდვა სოფლებისთვის: სასხორი, ქვემო ნიჩბისი, ახალდაბა, გალავანი.

სპეციალური ტრანსფერი (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის, მთავრობის განკარგულება N2400 28.12.2023 წ.) - 2 475,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა (II ეტაპი); სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად მასალების შეძენა;

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	**2024 წლის გეგმა**	**2024 წლის საკასო შესრულება**	**შესრულება %**
გრანტები (ტრანსფერები), მათ შორის:	**16,947.6**	**16,053.2**	**94.7**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან	15.1	15.1	**100.0**
მიმდინარე, მათ შორის:	**924.9**	**924.9**	**100.0**
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებისათვის	924.9	924.9	**100.0**
კაპიტალური, მათ შორის:	**16,007.5**	**15,113.1**	**94.4**
კაპიტალური ტრანსფერი	13377,5	12638,1	**94.1**
სპეციალური ტრანსფერი	2,630.0	2,475.0	**94.1**

3. სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 5 808,0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 12 827,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 221%-ია, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (10 967,5 ათასი ლარი) შედარებით 1 859,6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტობრივმა მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 6 475,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 120,0 ათასი ლარი) 305,5%-ია. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 4 257,0 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

რენტის სახით მიღებულია 2 218,9 ათასი ლარი, აქედან: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 1 548,3 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 670,7 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 2 367,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 440,0 ათასი ლარი) 164,4%-ია, აქედან:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 2 298,1 ათასი ლარი, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი - 1 586,1 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი - 682,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -29,9 ათასი ლარი.

არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვებიდან 69,0 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან .

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3 866,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (2 248,0 ათასი ლარი) 172%-ია , მათ შორის:

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 3 148,7 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 132,2 ათასი ლარი, შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 585,9 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 117,2 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 48,0 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 17,8 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 1,4 ათასი ლარი; ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 45,9 ათასი ლარი, ჯართის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი - 4,1 ათასი ლარი.

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება %-ში
სხვა შემოსავლები	**5,808.0**	**12,827.0**	**7,019.0**	**220.9**
შემოსავლები საკუთრებიდან	**2,120.0**	**6,475.9**	**4,355.9**	**305.5**
პროცენტი	**1,000.0**	**4,257.0**	**3,257.0**	**425.7**
რენტა	**1,120.0**	**2,218.9**	**1,098.9**	**198.1**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის	**1,000.0**	**1,548.3**	**548.3**	**154.8**
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი და სხვა) გადაცემიდან	**120.0**	**670.7**	**550.7**	**558.9**
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**1,440.0**	**2,367.1**	**927.1**	**164.4**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**1,400.0**	**2,298.1**	**898.1**	**164.1**
სანებართვო მოსაკრებელი	400.0	1,586.1	1,186.1	396.5
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი		29.9	29.9	
დასახლებული ტერიტორიის	1,000.0	682.1	-317.9	68.2

შემოსავლის სახეები	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება %-ში
დასუფთავების				
არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები	**40.0**	**69.0**	**29.0**	**172.5**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	**40.0**	**69.0**	**29.0**	**172.5**
შემოსავლები შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	35.0	58.9	28.9	168.2
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	5.0	10.1	5.1	202.6
სანქციები , ჯარიმები და საურავები	**2,248.0**	**3,866.8**	**1,618.8**	**172.0**
შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	**2,000.0**	**3,148.7**	**1,148.7**	**157.4**
შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	**50.0**	**132.2**	**82.2**	**264.4**
შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	**198.0**	**585.9**	**387.9**	**295.9**
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**0.0**	**117.2**	**117.2**	**0.0**
შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	0.0	45.9	45.9	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0	71,3	71,3	0.0

შემოსავლების შესრულების დინამიკა 2023-2024 წლებში



არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 22 724,7 ათასი ლარის შემოსავალი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის ფაქტი - 10 400,5 ათასი ლარი) შედარებით 12 324,2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 4 486,7 ათასი ლარი (შენობა-ნაგებობები - 4 445,8 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარები - 40,9 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 181,8 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 18 056,1 ათასი ლარი.

ათასი ლარი

დასახელება	2024 წლის ბიუჯეტი	2024 წლის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულების %
არაფინანსური აქტივების კლება	**930.0**	**22,724.7**	**21,794.7**	**2,443.5**
ძირითადი აქტივები	**200.0**	**4,486.7**	**4,286.7**	**2,243.4**
შენობა-ნაგებობების გაყიდვა	200.0	4,445.8	**4,245.8**	2,222.9
სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვა		40.9	**40.9**	-
მატერიალური მარაგები		**181.8**	**181.8**	-
არაწარმოებული აქტივები	**730.0**	**18,056.1**	**17,326.1**	**2,473.4**
მიწა	730.0	18,056.1	**17,326.1**	2,473.4

შემოსულობების შესრულების დინამიკა 2023-2024 წლებში



ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება:

◙ **საერთო დანიშნულების** სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 8 168,1 ათასი ლარი, გეგმის (9 535,5 ათასი ლარი) 85,7%, მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 11,6%-ს.

ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), მუნიციპალური საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების, ელექტრონული სერვისების დანერგვისა და განვითარების, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების,წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები.

◙ **ეკონომიკური საქმიანობის** სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 31 851,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 26 227,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 82,3%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს - 37,3%-ს.

აღნიშნული სფერო მოიცავს გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთების, გზების კაპიტალური შეკეთების, გზების კეთილმოწყობის, სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარების, სადღესასწაულო ღონისძიებების ქვეპროგრამების დაფინანსებას.

◙ **გარემოს დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 3 826,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 439,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 89,9%; მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს - 4,9%-ს.

ამ სფეროში გაერთიანებულია დასუფთავება და ნარჩენების გატანის, მწვანე ნარგავების გაშენების და მოვლა-პატრონობის, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებების ქვეპროგრამების ხარჯები.

◙ **საბინაო-კომუნალური** მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 19 829,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 13 596,1 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 68,6%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს - 19,3%-ს.

ამ სფეროში გაერთიანებულია წყლის სისტემების განვითარების, გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაციის, მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაციის, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის(სკვერები და მოსაცდელები), მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის ქვეპროგრამების დაფინანსება.

◙ **ჯანმრთელობის დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1 280,3 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 278,2 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 99.8%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 1,8%-ია.

ამ სფეროში გაერთიანებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების, მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსების ქვეპროგრამები.

◙ **დასვენების, კულტურის და რელიგიის** სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 8 569,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 6 806,4 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 79,4%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 9,7%-ია.

ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის, კულტურის სფეროს განვითარების, კულტურული და სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამების დაფინანსება.

◙ **განათლების სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 9 730,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 9 389,2 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 96,5%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში -13,3%-ია.

ამ სფეროში გაერთიანებულია სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობის, სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის, ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობის ქვეპროგრამების დაფინანსება.

◙ **სოციალური დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 2 229,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 503,4 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 67,4%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 2,1%-ია.

აღნიშნული სფერო მოიცავს ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის, ერთჯერადი სოციალური დახმარების, ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარების, ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობის, მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს ხელშეწყობის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	შესრულების %	%-ლი წილი
7.1	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**9,535.5**	**8,168.1**	**85.7**	**11.6**
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	9,507.7	8,143.4	85.7	11.6
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	9,207.7	8,143.4	88.4	11.6
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	300.0	0.0	-	-
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	27.8	**24.7**	**88.9**	**0.0**
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	**31,851.3**	**26,227.3**	**82.3**	**37.3**
7.4 5	ტრანსპორტი	25,723.9	21,591.9	83.9	30.7
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	25,723.9	21,591.9	83.9	30.7
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	6,127.4	4,635.4	75.7	6.6
7.5	**გარემოს დაცვა**	**3,826.6**	**3,439.8**	**89.9**	**4.9**
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	3,422.3	3,130.9	91.5	4.4
7.5 3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	394.3	298.9	75.8	0.4
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	10.0	10.0	100	0.0
7.6	**საბინაო კომუნალური მეურნეობა**	**19,829.6**	**13,596.1**	**68.6**	**19.3**
7.6 1	ბინათმშენებლობა	2,425.1	852.8	35.2	1.2
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	6,732.0	3,846.8	57.1	5.5
7.6 3	წყალმომარაგება	6,278.2	5,480.7	87.3	7.8
7.6 4	გარე განათება	1,613.3	1,481.9	91.9	2.1
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	2,780.9	1,933.8	69.5	2.7
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**	**1,280.3**	**1,278.2**	**99.8**	**1.8**
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	348.3	348.3	100.0	0.5
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	932.0	930.0	99.8	1.3
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**8,569.7**	**6,806.4**	**79.4**	**9.7**
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	5,527.8	4,358.0	78.8	6.2
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	3,030.9	2,448.4	80.8	3.5
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	11.0	0.0	-	-
7.9	**განათლება**	**9,730.6**	**9,389.2**	**96.5**	**13.3**

კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	შესრულების %	%-ლი წილი
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	9,026.1	8,689.0	96.3	12.3
7.9 2	ზოგადი განათლება	704.5	700.1	99.4	1.0
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	704.5	700.1	99.4	1.0
7 10	**სოციალური დაცვა**	**2,229.4**	**1,503.4**	**67.4**	**2.1**
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	133.0	128.5	96.6	0.2
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1,823.9	1,108.9	60.8	1.6
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	272.5	266.0	97.6	0.4
	სულ	**86,853.0**	**70,408.6**	**81.1**	**100**

II. ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2024 წელს გადასახდელების შესრულების 81,1%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელზე (75%) მეტია, ხოლო თანხობრივად, 2023 წელთან შედარებით, დახარჯულია 10 652,8 ათასი ლარით მეტი (დანართი N2).

2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 86 978,8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 70 534,3 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 81,1%. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 42 681,2 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 38 149,9 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 89,4% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 54,1%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 44,171.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 32 258,7 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 73% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 45,7%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 125,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 125,7 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 100% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.2%.

ათასი ლარი

N	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ული წილი
	მცხეთის მუნიციპალიტეტი	**86,978.8**	**70,534.3**	**81.1**	**100.0**
1	**ხარჯები**	**42,681.2**	**38,149.9**	**89.4**	**54.1**
	შრომის ანაზღაურება	5,697.3	5,207.9	91.4	7.4
	საქონელი და მომსახურება	11,205.8	9,092.8	81.1	12.9
	პროცენტი	27.8	24.7	88.9	0.0

N	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის საკასო	შესრულების %	%-ული წილი
	სუბსიდიები	19,738.8	19,173.3	97.1	27.2
	გრანტები	192.0	192.0	100.0	0.3
	სოციალური უზრუნველყოფა	1,327.1	1,218.9	91.8	1.7
	სხვა ხარჯები	4,492.4	3,240.3	72.1	4.6
2	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**44,171.9**	**32,258.7**	**73.0**	**45.7**
3	**ვალდებულებების კლება**	**125.7**	**125.7**	**100.0**	**0.2**

2024 წლის ასიგნებების სტრუქტურა (საკასო ხარჯი)



მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გაწეულმა მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 38 149,9 ათასი ლარი, მათ შორის:

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 5 697,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5 207,9 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 91,4%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (38 149,9 ათასი ლარი) 13,7%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 11 205,8 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 9 092,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 81,1%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (38 149,9 ათასი ლარი) 23,8%-ია.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 27,8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 24,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 88,9%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (38 149,9 ათასი ლარი) 0.1%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 19 738,8 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 19 173,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 97,1%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (38 149,9 ათასი ლარი) 50,3%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 192,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 192,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (38 149,9 ათასი ლარი) 0.5%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 327,1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 218,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 92%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (38 149,9 ათასი ლარი) 3,1%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4 492,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 3 240,3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 72,1%, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (38 149,9 ათასი ლარი) 8,5%-ია.

2024 წლის ხარჯების სტრუქტურა (საკასო შესრულება)



არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით

ათასი ლარი

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	შესრულების %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	316.7	282.8	89.3
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	39,713.2	29,646.4	74.7
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	299,3	298.7	100.0
04 00	განათლება	250.0	94.6	37.8
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	3,584.9	1,928.5	53.8
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	7.8	7.8	99,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	44,171.3	32,258.7	73.0

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ✓ პრიორიტეტი **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 39 823,4 ათასი ლარით, გეგმის (51 680,9 ათასი ლარი) - 77%;
- ✓ პრიორიტეტი **დასუფთავება და გარემოს დაცვა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3 439,8 ათასი ლარით, გეგმის (3 826,6 ათასი ლარი) - 90%;
- ✓ პრიორიტეტი **განათლება** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 9 389,2 ათასი ლარით, გეგმის (9 730,6 ათასი ლარი) - 96%;
- ✓ პრიორიტეტი **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 6 806,4 ათასი ლარით, გეგმის (8 569,7 ათასი ლარი) - 79%;
- ✓ პრიორიტეტი **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 781,7 ათასი ლარით, გეგმის (3 509,7 ათასი ლარი) - 79%;
- ✓ პრიორიტეტი **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 8 293,8 ათასი ლარით, გეგმის (9 661,2 ათასი ლარი) - 86%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება პრიორიტეტების მიხედვით



III. პროგრამების და ქვეპროგრამების შესრულება

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულების %
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	51,680.9	39,823.4	11,857.5	77.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	23,097.9	19,266.4	3,831.5	83.4
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	316.6	220.6	96.0	69.7
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	17,811.2	16,514.3	1,296.8	92.7
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	4,970.1	2,531.4	2,438.7	50.9

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულების %
02 02	წყლის სისტემების განვითარება	6,494.2	5,695.8	798.4	87.7
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	2,098.0	2,098.0	-	100.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	4,180.2	3,382.7	797.5	80.9
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	216.0	215.1	0.9	99.6
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,613.3	1,481.9	131.4	91.9
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	1,571.2	1,462.0	109.2	93.1
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	1,170.0	1,077.9	92.1	92.1
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	401.2	384.0	17.1	95.7
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია	42.2	19.9	22.2	47.3
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2,425.1	852.8	1,572.3	35.2
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	2,626.0	2,325.5	300.5	88.6
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	4,318.3	2,842.6	1,475.8	65.8
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)	2,780.9	1,933.8	847.1	69.5
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	87.4	85.7	1.7	98.1
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	1,450.0	823.0	627.0	56.8
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	3,092.8	2,208.4	884.4	71.4
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	0.0	-	0.0	-

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულების %
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	2,072.0	577.6	1,494.4	27.9
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	4,590.0	3,726.7	863.3	81.2
02 11	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა	1,351.2	845.8	505.4	62.6

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 19 266,4 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის 23 097,9 ათასი ლარის 83,4%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 316,6 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 220,6 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 69,7 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

დასრულდა დაზიანებული საავტომობილო გზების მიმდინარე (ორმოული) შეკეთება ქალაქ მცხეთაში და მუნიციპალიტეტის სოფლებში: ქსანი, ლისი, წილკანი; სოფ. ლელუბანში შეკეთდა დაზიანებული ხიდი; წვიმისგან ჩატანილი ნარჩენებისგან გაიწმინდა გზები სოფლებში: თეზამი, კევლიანი, ლელუბანი;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არ გამოცხადდა ტენდერი საგზაო ნიშნების შესყიდვაზე.

02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის გეგმა - 17 811,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 16 514,3 ათასი ლარი (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 10 369,8 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი - 92,7%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა: საგზაო სამოსის აღდგენა-მოწყობა, წყალამრიდი ნაგებობების, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო სამოძრაო ზოლების მოწესრიგება, ეზოში შესასვლელების და

მიერთებების მოწყობა, მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით საავტომობილო გზის მონიშვნა და შემოფარგვლა.

სოფ. მუხათგვერდში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ);
სოფ. არაშენდაში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ);
სოფ. ძველ ქანდაში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ),
სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ),
სოფ. საგურამოში შიდა საუბნო გზის (33-ე და 36-ე ქუჩა) ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ);
სოფ. ნიჩბისში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ);
სოფ. მისაქციელში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (მე-8 და მე-11 მონაკვეთი, რგფ);
სოფ. წეროვანში, იგპ დასახლებაში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ);
სოფ. ახალუბანში, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ);
სოფ. ვაზიანში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარის მოწყობა;
სოფ. ლისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ);
სოფ. მუხათწყაროში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა და საყრდენი კედლის (ს.კ. 72.16.06.008) მოწყობა;
სოფ წილკნისა და წეროვნის დამაკავშირებელი გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები და სოფ. წეროვანში შიდა საუბნო გზების (N5, N6, N7, N8) ასფალტბეტონის საფარის მოწყობა(რგფ),
სოფ. საგურამოში და ზაქაროში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარის მოწყობა;
სოფ. ნავაზში შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა (რგფ);
სოფ. წილკანში, სელექციის დასახლებაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (რგფ);
სოფ. ქსანში შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. მუხრანში, შიდა საუბნო გზების (აზ. უბანი, არენის სასაფლაო, ჭაობის უბანი) ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ);
სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (სამების სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი) (რგფ);
სოფ. ძეგვში, შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა;
სოფ. ნატახტარში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა;
სოფ. ჯიღაურაში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა;
სოფ. ნავდარაანთკარში, შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა;
სოფ. ახალუბანში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა;
სოფ. ბიწმენდში, შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა;
სოფ. გოროვანში, შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ);
სოფ. მუხრანში გზის რეაბილიტაცია (მერებაანთ უბანი);
სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზების (კვირაცხოვლის უბანი) რეაბილიტაცია (რგფ);
სოფ. გალავანში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ);
სოფ. ზაქაროში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ);
სოფ. ჩარდახში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ);
სოფ. წეროვანში (კვლევითი ინსტიტუტის დასახლებაში) შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ);
სოფ. ძალისში N2 გზის მოწყობის სამუშაოები (რგფ);
სოფ. ქსოვრისში, შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (მრავალწლიანი);
სოფ. ციხისძირში, შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა;
სოფ. წილკანში შიდა გზების (I, II, III მონაკვეთები) რეაბილიტაცია;
სოფ. წილკანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია;
სოფ. ძეგვში ციხედიდთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
სოფ. წილკანში იგპ დასახლებაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ);
სოფ. ძალისის შიდა საუბნო გზის (I და II მონაკვეთები) მოწყობა (რგფ);

სოფ. წინამძღვრიანთკარში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ).

მიღწეული შედეგი: საანგარიშო პერიოდში კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაახლოებით 38 209,0 გრძ/მ გზას, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტიდან -17 394,0 გრძ.მ გზას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 20 815,0 გრძ.მ სიგრძის გზას.

02 01 03 გზების კეთილმოწყობა

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის გეგმა 4 970,1 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 2 531,4 ათასი ლარი (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 63,2 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი 50,9 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ტროტუარების, დაზისნებული საყრდენი კედლების, მოაჯირების, რკინა/ბეტონის პარაპეტების მოწყობა-რეაბილიტაცია, გზის მიმდებარე ფერდების დაპროფილება და საფრთხის შემცველი ფერდების ჩამოწმენდა-ფორმირება, გზის გვერდულის ნაცვლად ახალი ტროტუარების მოწყობა დეკორატიული ფილებით და ბეტონის ბორდიურებით.

დაფინანსდა:

ქ. მცხეთაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბებრის ციხესთან მისასვლელი) ;

ქ. მცხეთაში ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (ფოსტიდან არსენას ძეგლის ხიდამდე) (რგფ);

ქ. მცხეთაში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (არსენას ძეგლიდან მტკვარზე არსებულ ხიდამდე) ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაციის სამუშაოები (რგფ);

ქ. მცხეთაში, სამხედროს ქუჩაზე საყრდენი კედლების, ტროტუარების და ბორდიურების რეაბილიტაცია;

ქ. მცხეთაში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ქალაქის შემოსასვლელში, არსებული ხიდის მიმდებარედ, მდ. მტკვარზე გადასახედი მოედნის მოწყობა;

სოფ. საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო მუზეუმის მისასვლელი გზის გამყოფი ზოლის კეთილმოწყობა;

სოფ. აღდგომლიანთკარში, მდ. შარახევზე საავტომობილო სახიდე გადასასვლელის მოწყობა;

ქ. მცხეთაში, შიდა საუბნო გზების (კონსტიტუციის და გორგასლის ქუჩის დამაკავშირებელი გზა) რეაბილიტაცია;

ქ. მცხეთაში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N1-დან არსენას ძეგლის ხიდამდე (თბილისიდან მარჯვენა მხარეს) ტროტუარების და საყრდენი კედლების მოწყობა;

ქ. მცხეთაში, პეტრე იბერიელის N27 ქუჩის მიმდებარედ, (გეთსამანიის ტაძართან) დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია;

ქ. მცხეთაში, რუსთაველის ქუჩაზე საყრდენი კედლების რეაბილიტაცია;

ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების შეძენა/დამონტაჟება/შეკეთება.

მიღწეული შედეგები:

მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა.

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის გზებზე ტრანსპორტის და ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვინაიდან გარკვეული პერიოდი სჭირდება ელექტრონული ტენდერების ჩატარებას, შესაბამისად ამ პროექტების შესრულების ვადები გადადის მომდევნო წელს; მრავალწლიანი სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკით.

02 02 01 სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი - შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია“

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის გეგმა 2 098,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 2 098,0 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი -100 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა

დაფინანსებულია 2098,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 100%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შპს "წყლისა და ტრანსპორტის კომპანია".

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია მოემსახურა 59 სოფელს, სადაც განხორციელდა ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამუშაოების შესრულებას: დაზიანებული წყალსადენის ქსელის რემონტი, არსებული წყლის რეზერვუარების დაქლორვა, გაწმენდა-შეკეთება; მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების და ჩამკეტ-მარეგულირებელი მოწყობილობების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება.

დაბინძურების წყაროების იდენტიფიცირების მიზნით სამსახურის მიერ რეგულარულად მიმდინარეობდა წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობის შესწავლა, რეზერვუარებში არსებული წყლის გაუსნებოვნება, დეზინფექცირება, რეზერვუარების დაქლორვა-გარეცხვა, ხარისხის მონიტორინგი და ლაბორატორიული კვლევა ტარდებოდა შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე.

საანგარიშო პერიოდში წყლის გამანაწილებელი ქსელი გაიზარდა 100 მ - ით (სოფ. ერედაში 110 მმ დიამეტრის წყალსადენით) და შეადგინა დაახლოებით 363878 კმ, შემკრები ავზების (რეზერვუარების) რაოდენობაა 111 ერთეული (მათ შორის 20 თვითდინებით შევსებადი) საერთო მოცულობით 15,079 ათასი კუბური მეტრი, მოსახლეობას და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს წყალი მიეწოდებოდათ ჭაბურღილების (28 სოფელი, 101 ერთეული), დრენაჟული წყალმიმღებების (21 სოფელი), კომპანია GWP - ის (10 სოფელი) და „გაერთიანებული ქართული წყლები“-ს (5 სოფელი) მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში ავარიული გამოძახებების რაოდენობამ შეადგინა 273 ერთეული, რომელთაგან ფაქტობრივად ყველა აღმოიფხვრა, წყალმომარაგების ქსელზე მიერთების მოთხოვნით სამსახურს მიმართა 189 მოქალაქემ, ტექნიკური პირობა გაიცა 99 განმცხადებელზე.

მიღწეული შედეგები: მუნიციპალიტეტის სოფლებში უზრუნველყოფილ იქნა სასმელი წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირება და ქსელის მოვლა-ექსპლუატაცია.

02 02 02 სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის გეგმა 4 180,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 3 382,7 ათასი ლარი (მათ შორის, კაპიტალური ტრანსფერი 1 180,4 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი 80,9 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალური რეაბილიტაცია, წყალმომარაგების ახალი ქსელის მოწყობა, ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელენერგიის ხარჯის ანაზღაურება.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა:
სოფ. ნიჩბისში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა (რგფ);
სოფ. შანკევანში სასმელი წყლის რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა;
სოფ. შანკევანში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი).
სოფ. ხეკორძში სასმელი წყლის მილსადენის მოწყობა;
სოფ. ერედაში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები, და წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია;
სოფ. წილკანში წყალმომარაგების ჭაბურღილების, რეზერვუარების და მილსადენების მოწყობის სამუშაოები;
სოფ. წილკანში წყალმომარაგების ჭაბურღილების, რეზერვუარების და მილსადენების მოწყობის სამუშაოები (რგფ);
მრავალსაფეხურიანი ჰორიზონტალური სექციური (55 კვტ 60/185) ტუმბოების შეძენა;
სასმელი წყლის ავზების შესყიდვა/მონტაჟი სოფლებში: შანკევანი, ახალსოფელი და წილკანი;
ჭაბურღილების მიერ გახარჯული ელენერგიის გადასახადი;

მიღწეული შედეგები: განხორციელდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის სოფლებში შენარჩუნებულია წყალმომარაგების გამართული ქსელი.

02 02 03 საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 216,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 215,1 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 99,6 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა ქალაქ მცხეთაში (არმაზის დასახლება) და მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი; სოფ. წინამძღვრიანთკარში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია და ამორტიზებული საკანალიზაციო მილსადენის რემონტი; სოფ. ქსანში საკანალიზაციო სისტემის რემონტი; სოფ. ფრეზეთში იგპ დასახლებაში საკანალიზაციო წყალშემკრები აუზის მოწყობა; საკანალიზაციო ჭის ხუფების შეძენა;

მიღწეული შედეგები: უზრუნველყოფილ იქნა საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, მოვლა-ექსპლუატაცია.

02 03 01 01 გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 1 170,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 077,9 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 92,1 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა :
განხორციელდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გარე განათების ქსელის წერტილების (13869 ერთეული) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურება.

მიღწეული შედეგები: უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის გამართულად ფუნქციონირება.

02 03 01 02 გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 401,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება 384,0 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 95,7 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
საანგარიშო პერიოდში ყოველდღიურად ხორციელდებოდა დასახლებული პუნქტების და ქუჩების 13869 გარე განათების წერტილის ექსპლუატაცია, მათ შორის, ქ. მცხეთის ქუჩების, სკვერებისა და არქიტექტურული ძეგლების განათების 2036 წერტილის და მუნიციპალიტეტის 60 სოფლის დასახლებული პუნქტების, ქუჩების გარე განათების 11833 წერტილის, 39731 მ. ელსადენის, 206 ელგამშვები კვანძის ექსპლუატაცია. ამ პერიოდში განხორციელდა ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული ელმოწყობილობების ახლით შეცვლა, შეიცვალა 6603 ცალი სხვადასხვა ტიპის ნათურა, 175 ცალი ავტომატური ამომრთველი, 105 ცალი ელგამშვები მოწყობილობა, 309 ცალი ფაიფურის მასრა, 511 ცალი დროსელი, 215 ცალი ეკოსანათი და 115 ცალი პროჟექტორი, 50 ცალი ფოტორელე, 95 ცალი იგნატორი, 4342 მ სიგრძის ელსადენი, 1 ცალი პლექსის ბურთი, 341 მ. გოფრ/მილი.

მიღწეული შედეგები: უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის გამართულად ფუნქციონირება, წარმოქმნილი შეფერხებები დროულადაა აღმოფხვრილი.

02 03 02 გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 42,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 19,9 ათასი ლარით შესრულების პროცენტი - 47,3 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოფ. მუხრანში გარე განათების მოწყობა.

მიღწეული შედეგები: განხორციელდა გარე განათების ქსელის გაფართოება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: გათვალისწინებული იყო წლის განმავლობაში ქსელზე დაერთების ხარჯები, რაც არ განხორციელებულა.

02 04 მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 2 425,1 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 852,8 ათასი ლარით (მათ შორის, ტრანსფერით 139,7 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი 35,2 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მცირე კაპიტალური, სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2024 წელს პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან დაფინანსდა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობა და მერიის შენობაში სასაწყობე მეურნეობის მოწყობა; ქ. მცხეთაში, მირიანის ქუჩაზე არსებული სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია; სოფ. წეროვანში უსახური შენობა-ნაგებობის დემონტაჟი (ტრანსფერი); სოფ. მუხრანში ამბულატორიის ელენერგიის სიმძლავრის გაზრდა და შიდა დაქსელვა; სოფ. მუხრანში საცხოვრებელი კორპუსების სარემონტო სამუშაოები;

მიღწეული შედეგები: მოვლილი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: სოფ. წეროვანში ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს და შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანიის" განთავსების შენობების რეაბილიტაციის სამუშაოებზე არ გამოცხადდა ტენდერი.

02 05 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება

განმახორციელებელი: - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია;
შპს "წყლისა და ტრანსპორტის კომპანია"

პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 2 626,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 2 325,5 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 88,6%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 10 ერთეული ავტობუსის ღირებულების და ავტობუსების გეგმური ფლობის მომსახურების ანაზღაურება, შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის უზრუნველყოფა.

სტრუქტურული რეორგანიზაციის შემდეგ შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანიის" განსახორციელებელი საქმიანობის ახალ, დამატებით მიმართულებად განისაზღვრა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება.

ამისათვის მოსახლეობიდან მიღებული შეტყობინებების გათვალისწინებით და მათი მგზავრობის პირობების გაუმჯობესების მიზნით გატარდა და განხილვის პროცესშია არაერთი საჭირო ღონისძიება: ავტობუსების მოძრაობის არსებულ მარშრუტზე

დამატებითი ხანმოკლე გაჩერებების ადგილების მონიშვნა; სიჩქარის შემზღუდავი მაჩვენებლების მოწყობა და სხვა. შპს "წყლისა და ტრანსპორტის კომპანიის" მიერ ტრანსპორტის სამსახურისთვის შეძენილ იქნა 4 ერთეული აკუმულატორი (12V 105Ah), 1 ერთეული საპირფარეშოს ტიპის კონტეინერი.

02 06 01 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 2 780,9 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 933,8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 23,2 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი 69,5 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შედეგები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სარეკრეაციო დასასვენებელი სივრცეების და სკვერების მოწყობა, არსებულის აღდგენა-რეაბილიტაცია, სკვერებში არსებული სასმელი წყლის და შადრევნის წყლის ხარჯის დაფინანსება.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: ქ. მცხეთა, ნარეკვავის დასახლებაში სააკაძის ქუჩის ბოლოში არსებული სკვერის მოწყობა (რგფ); ქ. მცხეთა, ღართისკარის დასახლებაში არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სამხედროს ქ. N12 ა-ში არსებული სკვერის) რეაბილიტაცია; სოფ. ციხისძირში ახალი სკვერის რეაბილიტაცია ს/კ 72.10.02.104-ის მიმდებარედ (ნაგავსაყრელი); სკვერებში მოხმარებული წყლის გადასახადი; მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების ფრაგმენტული და ახლის მოწყობის სამუშაოები; სოფ. ძეგვში სკვერის რეაბილიტაცია; სოფ. ნიჩბისში სკვერის რეაბილიტაცია; ქსელზე დაერთების საფასური;

მიღწეული შედეგები: აღდგენილია და ახლად მოწყობილია სკვერები, მოსახლეობისთვის შექმნილია კომფორტული და მიმზიდველი დასასვენებელი გარემო.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: გეგმა-გრაფიკით მიმდინარეობს სამუშაოები: მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების ფრაგმენტული და ახლის მოწყობის სამუშაოები; სოფ. ძეგვში სკვერის რეაბილიტაცია; სოფ. ნიჩბისში სკვერის რეაბილიტაცია;

02 06 02 დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 87,4 ათასი ლარი, საკასო შესრულება 85,7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 98,1 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა

განხორციელდა არსებული დაზიანებული ბორდიურების, საყრდენი კედლების, მოსაცდელების სარემონტო სამუშაოები, გარე განათების ბოძების, მოაჯირების, ხის სანაგვე ურნების შეღებვა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების, სკამების, ნაგვის კონტეინერების, სკვერებში წყლის ონკანების, შეკეთება, კანალიზაციის გაწმენდა.

მიღწეული შედეგები: წლის მანძილზე განხორციელდა მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

02 06 03 სადღესასწაულო ღონისძიებები

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 1 450,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება 823,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,1 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან განხორციელდა „მცხეთობის" დღესასწაულთან დაკავშირებით ქალაქის გაფორმება; საშობაო-საახალწლო დღესასწაულისთვის ქალაქის საახალწლო დეკორაციებით გაფორმება - საახალწლო ნათურების მონტაჟი, ქალაქში მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი/დემონტაჟის ღონისძიებები;

მიღწეული შედეგები: განხორციელდა ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შეიქმნა სადღესასწაულო გარემო.

02 07 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 3 092,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 2 208,4 ათასი ლარი, (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 827,3 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი 71,4 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შედეგები: მუნიციპალიტეტის დასახლებებში (სოფლებში) სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები დასახლებების საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა მცირე - 60 ათას ლარამდე ღირებულების - სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები: გარე განათების მოწყობის სამუშაოები, გზების მოხრეშა/რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემების, სარწყავი და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და სხვა.

02 09 მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 2 072,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 577,6 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 27,9 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (56 პროექტი)- 324,5 ათასი ლარი; ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა - 253,1 ათასი ლარი;

მიღწეული შედეგები: დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ვინაიდან გარკვეული პერიოდი სჭირდება ელექტრონული ტენდერების ჩატარებას, შესაბამისად ამ პროექტების შესრულების ვადები გადადის მომდევნო წელს; ტენდერებში დარჩენილი ეკონომიები; დაგეგმილი სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

02 10 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 4 590,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 3 726,7 ათასი ლარი (მათ შორის სპეციალური ტრანსფერი 3 332,6 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი - 81,2%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში სპეციალური ტრანსფერით დაფინანსდა სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა ქ. მცხეთაში, ბებრის ციხის მიმდებარედ, მდ. არაგვის ხეობაში ნაპირსამაგრის მოწყობა, სოფ. ნავდარაანთკარში, თეძამის ხევში ნაპირსამაგრის მოწყობა; მასალების შეძენა სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად.
ადგილობრივი ბიუჯეტიდან - შიომღვიმის მონასტერთან კლდიდან ჩამოშლილი მიწის მასის გატანა; სტიქიით დაზიანებული წყლის მილების შეკეთება სოფლებში: ნავდარაანთკარი, ლელუბანი ; სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების აღდგენა (თეზამი, კევლიანი, ხეკორძი)

მიღწეული შედეგები: დროულად აღმოფხვრილი სტიქიური მოვლენების შედეგები; განხორციელებულია ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოები;

02 11 ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 1 351,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 845,8 ათასი ლარი, (მათ შორის ტრანსფერი - 305,7 ათასი ლარი) შესრულების პროცენტი - 62,6 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა გარე განათების მოწყობა ქ. მცხეთაში, თეატრონის ტერიტორიაზე და სოფ. საგურამოში; მოსწორდა მიწა თეატრონის ტერიტორიაზე; განხორციელდა ქვიშა-ხრეშის შესყიდვა, მოიხრეშა გზები სოფლებში: საგურამო, მუხრანი, ნატახტარი, ძეგვი, ნიჩბისი; დაფინანსდა ქ. მცხეთაში საცხოვრებელი კორპუსების შიდა წყალარინების ქსელის სარემონტო

სამუშაოები; სოფ. ნატახტარში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია; შეძენილ იქნა ტუმბოები სოფლებისთვის სასხორი, ქვემო ნიჩბისი, ახალდაბა, გალავანი.

მიღწეული შედეგები: განხორციელდა მოსახლეობის ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისად მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:
ვინაიდან გარკვეული პერიოდი სჭირდება ელექტრონული ტენდერების ჩატარებას, შესაბამისად ამ პროექტების შესრულების ვადები გადადის მომდევნო წელს; დაგეგმილი სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულების %
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,826.6	3,439.8	386.9	89.9
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	3,422.3	3,130.9	291.4	91.5
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	394.3	298.9	95.4	75.8
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	284.7	273.4	11.3	96.0
03 02 02	მწვანე ნარგავების გაშენება	109.6	25.5	84.1	23.2
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	10.0	10.0	-	100.0

03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა

პროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“.
პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 3 422,3 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 3 130,9 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი 91,5%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. მცხეთის 179420 კვ.მ. ფართობის ქუჩების ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავება, ქუჩების გაწმენდა ქვიშისა და ნარჩენებისგან, თოვლის და ყინვიანი ამინდების დროს სოფ. ლისის, წოდორეთის, მსხალდიდის, ნაფეტვრების, ნიჩბისი, ფრეზეთის, საგურამოს ქუჩებში დაიყარა 86 კუბ.მ ქვიშა-მარილი; 2024 წელს განხორციელდა ქალაქ მცხეთის (მათ შორის, ქალაქის სასაფლაოს ტერიტორია) და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა (11 ნაგავმზიდით) 45 კმ - ზე კასპის ნაგავსაყრელზე, ქ. მცხეთიდან და სოფ. საგურამოდან - დღეში ორჯერ, ხოლო

დანარჩენი სოფლებიდან და ორგანიზაციებიდან - დღეგამოშვებით); აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასახლებული პუნქტებიდან და ორგანიზაციებიდან სულ გატანილ იქნა 24875 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, მათ შორის, ქ. მცხეთიდან - 5154 ტონა, სოფლებიდან - 16171 ტონა, ორგანიზაციებიდან - 3550 ტონა.

2024 წელს შეძენილ იქნა 1,1 კუბ.მ ტევადობის 470 ცალი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პლასტმასის კონტეინერი, რომელიც დაიდგა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ განთავსებულია 1717 ცალი 1,1 კუბ.მ ტევადობის ნარჩენების კონტეინერი, მათ შორის, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე - 257 ცალი, სოფლებში - 1310 ცალი, ორგანიზაციებში -150 ცალი.

პროგრამის ფარგლებში სისტემატურად, ყოველი წვიმის შემდეგ, ხორციელდებოდა ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრძ/მ სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის ნიაღვრისაგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან, ასევე გაიწმინდა სანიაღვრე არხი სოფ. საგურამოში, კოკისპირული წვიმის შედეგად ჩამოტანილი ქვიშისა და ნარჩენისაგან. ყოველდღიურად ხდებოდა ქ. მცხეთის სასაფლაოს ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული შედეგები: მთელი წლის მანძილზე უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება;

03 02 01 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“

ქვეპროგრამის დაფინანსება 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 284,7 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 273,4 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 96 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 152000 კვ.მ. ფართობის მწვანე საფარის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემატურად ხდებოდა პარკებისა და სკვერების ფერდობების და გაზონების მწვანე ფართობის ტერიტორიების გაკრეჭა-დაფოცხა, მწვანე ნარგავების შემობარვა, ჯამების მოწყობა, ხმელი ხეების მოჭრა, ეკალბარდის გაჩეხა, ბუჩქების და გაზონების გაკრეჭა, მოიჭრა 50 ძირი ამორტიზებული, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხე, მთლიანად გაიჩეხა და გაიწმინდა ეკალ-ბარდებისა და გამხმარი ტოტებისაგან მუხათგვერდში ც/გზიდან ჭაშნიკამდე გზის მიმდებარე ტერიტორიები და თეატრონის ტერიტორია, ამ სამუშაოების დროს გატანილ იქნა დაახლოებით 600 კუბამეტრი ნარჩენი. ქ, მცხეთაში, ღართიკარის დასახლებაში, ფერდობზე დაიყარა და მოსწორდა 140 კუბ. მ მინდვრის მიწა.

სისტემატურად ირწყვებოდა პარკები, სკვერები და მწვანე ნარგავები მორწყვითი ხელით, ისე ავტომატურად და მოსარწყავი ავტოცისტერნის მეშვეობით. ყოველდღიურად უზრუნველყოფდნენ ქ. მცხეთის ცენტრალური შადრევნის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირებას.

მიღწეული შედეგები: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა.

03 02 02 მწვანე ნარგავების გაშენება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია;

ქვეპროგრამის დაფინანსება 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 109,6 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 25,5 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 23,2%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. მცხეთის ტერიტორიაზე დარგული სხვადასხვა სახეობის ნერგების მოვლა-პატრონობა: მორწყვა, ჯამების მოწყობა-გაფხვიერება,

მიღწეული შედეგები: განხორციელებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: დაზიანებული და დაავადებული ხეების მოჭრა-გადაბელვაზე არ გამოცხადდა ტენდერი.

03 04 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის დაფინანსება 2024 წლის გეგმა - 10,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 10,0 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 100%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განხორციელდა უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: დაჭერა, ვაქცინაცია, სტერილიზაცია, დაბრუნების (TVNR) პროგრამა, მოსახლეობის შეტყობინებაზე დროული და ეფექტური რეაგირება;

განათლება

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება**	**2024 წლის გეგმა**	**2024 წლის ფაქტი**	**სხვაობა**	**შესრულების %**
04 00	**განათლება**	**9,730.6**	**9,389.2**	**341.4**	**96.5**
04 01	**სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა**	**8,392.9**	**8,250.4**	**142.6**	**98.3**
04 02	**სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა**	**252.7**	**102.7**	**150.1**	**40.6**
04 03	**სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა**	**380.5**	**336.0**	**44.4**	**88.3**
04 04	**ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა**	**704.5**	**700.1**	**4.4**	**99.4**

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“;
პროგრამის 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 8 392,9 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 8 250,4 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი 98,3%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.

საანგარიშო პერიოდში ქ. მცხეთის N3, სოფ. ძეგვის და სოფ. საგურამოს საბავშვო ბაგა-ბაღებში დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, შესაბამისად, რეაბილიტაციის დასრულებამდე განხორციელდა ქ. მცხეთის N3 და სოფ. ძეგვის საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელების გადაყვანა ქ. მცხეთის N2, N4 და სოფ. ნიჩბისის საბავშვო ბაგა-ბაღებში, ხოლო სოფ. საგურამოს საბავშვო ბაგა-ბაღისთვის მოხდა ალტერნატიული ფართის დაქირავება სოფლის ტერიტორიაზე.

გაერთიანების საბავშვო ბაგა-ბაღებში დაიწყო ადრეული განათლების კურიკულუმის თამაშის დანერგვა; განხორციელდა საბავშვო ბაგა-ბაღების პერსონალის (დირექტორები, აღმზრდელები, სპეციპედაგოგები, აღმზრდელის თანაშემწეები) გადამზადება.

სააღმზრდელო კურსი დაასრულა სასკოლო ასაკის 500 ბავშვმა. სექტემბრის თვეში დასრულდა სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა რეგისტრაციის პროცესი, ახალ სასწავლო-სააღმზრდელო წელს სკოლამდელ დაწესებულებებში ჩაირიცხა 1667 აღსაზრდელი.

საშობაო-საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით სააღმზრდელო დაწესებულებებში ჩარიცხულ 1628 აღსაზრდელს გადაეცა სასაჩუქრე პაკეტი (ტკბილეული).

მიღწეული შედეგები: ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო; უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიწოდება.

04 02 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა

პროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 252,7 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 102,7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 40,6%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ქ. მცხეთაში, წერეთლის ქუჩაზე, ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის ასაშენებლად, უფუნქციო რკინა-ბეტონის აუზის დემონტაჟი, სოფ. ჩარდახში და სოფ. ქანდაში, საბავშვო ბაღების გაზმომარაგების (შიდა დაქსელვა)

მიღწეული შუალედური შედეგები: მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით უზრუნველყოფილია საბავშვო ბაგა-ბაღების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: დაგეგმილი სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

04 03 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი: მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 380,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 336,0 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 88,3%.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა. განხორციელდა ყოველდღიურად დაახლოებით 394 ბავშვის წაყვანა ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საბავშვო ბაღი, ახლოს მდებარე საბავშვო ბაღში და მათი უკან, სახლში დაბრუნება.

04 04 ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;
პროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 704,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 700,1 ათასი ლარი (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი - 654,6 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი 99,4 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის 103 წარჩინებული მოსწავლის წახალისება ფულადი ჯილდოთი ყოველი სემესტრის დასრულების მერე, ასევე, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.

მიღწეული შედეგები:
ტრანსპორტით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლის მოსწავლეები;
უზრუნველყოფილია საჯარო სკოლის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების წახალისება;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულების %
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	8,569.7	6,806.4	1,763.2	79.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	5,527.8	4,358.0	1,169.7	78.8
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2,391.3	2,340.5	50.8	97.9
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	359.3	358.8	0.5	99.8
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	309.0	305.9	3.1	99.0
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	633.0	628.4	4.6	99.3
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	313.0	306.2	6.8	97.8
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	627.0	591.2	35.8	94.3
05 01 01 06	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	150.0	150.0	-	100.0
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	3,136.5	2,017.5	1,118.9	64.3

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულების %
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,041.9	2,448.4	593.5	80.5
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	2,069.0	2,003.3	65.7	96.8
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	2,027.0	1,961.3	65.7	96.8
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0	42.0	-	100.0
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	652.9	136.7	516.2	20.9
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	11.0	-	11.0	-
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	309.0	308.3	0.7	99.8

05 01 01 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 359,3 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 358,8 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 99,8 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სკოლის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები: ხელფასები, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილეობის, გუნდების მივლინებების, გუნდების ეკიპირების და სხვა ხარჯები.

2024 წელს სკოლაში საქმიანობდა 31 თანამშრომელი, აქედან 17 მწვრთნელ-მასწავლებელი და 1 მწვრთნელ-სელექციონერი, სკოლაში 2024 წლის მონაცემებით რეგისტრირებული იყო 335 ფეხბურთელი.

საფეხბურთო ვარჯიშები მომდინარეობდა ქ. მცხეთაში და მუნიციპალიტეტის 9 სოფელში (ნიჩბისი, მუხრანი, ძეგვი, საგურამო, გალავანი, ქსოვრისი, ძალისი, წილკანი, ციხისძირი) .

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩემპიონ ლიგის გათამაშებაში მონაწილეობას იღებდა სკოლის 5 გუნდი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც დაიკავეს საპრიზო ადგილები; სკოლის აღსაზრდელებით დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობას იღებდნენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ პირველობაზე 3 ასაკობრივ კატეგორიაში: 2011-2012, 2013-2014, 2015-2016 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც დაიკავეს საპრიზო ადგილები;

2024 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლამ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან გრანტის სახით მიიღო 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

2024 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ორგანიზებით მინი ფეხბურთში ჩატარდა ოთხთა ტურნირი 2009-2010წწ. დაბადებულთა შორის, სადაც გამარჯვებული გახდა საგურამოს „ჯიქი“;

ქეთევანობის დღესასწაულთან დაკავშირებით სოფ. მუხრანში 2011-2012წწ. დაბადებულთა შორის, სადაც გამარჯვებული გახდა მუხრანის „ბური“; მცხეთობის დღესასწაულთან დაკავშირებით 2013-2014წწ. დაბადებულთა შორის, სადაც გამარჯვებული გახდა მცხეთის „მცხეთა“. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები და ფასიანი საჩუქრები.

სკოლის ორგანიზებით ნოემბრის თვეში ჩატარდა სასკოლო-სპორტული ოლიმპიადა მინი ფეხბურთში (მუნიციპალური თამაშები) ვაჟებსა და გოგონებს შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებმა. ვაჟებშიც და გოგონებშიც გაიმარჯვა მცხეთის N1 საჯარო სკოლამ.

05 01 02 კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 309,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 305,9 ათასი ლარით , შესრულების პროცენტი - 99,0%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა სპორტსმენთა სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობები.

საანგარიშო პერიოდში აკადემიაში ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობას (აკადემიური, კანოე, ბაიდარა) ეუფლებოდა 98 სპორტსმენი (12 ჯგუფი). აკადემიის 9 სპორტსმენი ირიცხება საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და ქვეყნის სახელით მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში.

მიმდინარე წლის განმავლობაში აკადემიის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ:

აკადემიის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობებში და საპრიზო ადგილები დაიკავეს საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატზე, საქართველოს თასის გათამაშებაზე და აზერბაიჯანში გამართულ საერთაშორისო რეგატაში. წარმატებული სპორტსმენები შეყვანილ იქნენ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში;

ქ. ქუთაისში, საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატზე, კანოე-კაიაკსა და აკადემიურ ნიჩბოსნობაში აკადემიის სპორტსმენებმა დაიკავეს საპრიზო ადგილები და გუნდური პირველი ადგილი. ყველა სპორტსმენი შეყვანილ იქნა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

ქ. ფოთში, საქართველოს თასის გათამაშებაზე აკადემიურ, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში, წარმატებით იასპარეზეს აკადემიის სპორტსმენებმა და მოიპოვეს: 29 ოქროს, 11 ვერცხლისა და 13 ბრინჯაოს მედალი.

აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში გამართულ საერთაშორისო რეგატაზე „პრეზიდენტის თასის გათამაშება“ წარმატებით იასპარეზეს აკადემიის სპორტსმენებმა და საპრიზო ადგილები დაიკავეს სხვადასხვა დისტანციებზე.

აკადემიის ნაკრებმა გუნდმა წარმატებით იასპარეზა ქ. ფოთში გამართულ საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატზე კანოე-კაიაკსა და აკადემიურ ნიჩბოსნობაში, სადაც როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრში დაიკავეს საპრიზო ადგილები: 19 ოქრო, 11 ვერცხლი და 13 ბრინჯაო.

ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო რეგატაზე „სუპერ სპრინტი“ კანოე-კაიაკში მონაწილეობას იღებდა 20 ქვეყნის სპორტსმენი, აღნიშნულ შეჯიბრებაში კანოეთი 100 მ დისტანციაზე მონაწილეობდა აკადემიის 4 სპორტსმენი, ორმა დაიკავა საპრიზო ადგილი.

ქ. ფოთში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კანოე-კაიაკსა და აკადემიურ ნიჩბოსნობაში. აკადემიის სპორტსმენებმა გუნდური შედეგით ორივე სახეობაში დაიკავეს პირველი ადგილი.

მიღწეული შედეგები: ხელშეწყობილია კანოესა და ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობის განვითარება.

05 01 01 03 ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა";

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 633,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 628,4 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 99,3%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
წლის განმავლობაში სკოლა ეტაპების მიხედვით ახორციელებდა შემდეგ სასპორტო-საწვრთნელ საქმიანობას: დაწყებითი ეტაპის საერთო ფიზიკური და დაწყებითი მომზადება და საბაზო საორიენტაციო ეტაპის საწვრთნელი სასპორტო საქმიანობა.
სკოლაში ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას სამ ასაკობრივი ჯგუფში ეუფლებოდა 514 მოსწავლე, აქედან 9 გოგონა: 6-18 წლამდე ასაკის (ჭაბუკები), 18-20 წლამდე ასაკის (ახალგაზრდები) და 20-23 წლამდე ასაკის (კადეტები); სკოლის აღსაზრდელები საწვრთნელ პროცესს გადიან ქ. მცხეთასა და მუნიციპალიტეტის 8 სოფელში.
საანგარიშო პერიოდში აკადემიის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს სპორტულ ღონისძიებებში (63), მოიპოვეს საპრიზო ადგილები და ლიცენზიები სხვადასხვა წონით კატეგორიაში.

მიღწეული შედეგები: ხელშეწყობილია მოზარდების ჩართულობა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში.

05 01 01 04 სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 313,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 306,2 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 97,8%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: სკოლაში ფუნქციონირებს 18 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი (კარატეს - 5, ველოსპორტის - 4, კრივის - 3, კალათბურთის - 2, ფრენბურთის - 1, ტაეკვონდოს - 1, შერეული ორთაბრძოლების - 1, ჭადრაკის - 1), სადაც რეგისტრირებულია 321 მოსწავლე (252 ვაჟი, 69 გოგონა) და 18 მწვრთნელ-მასწავლებელი, სკოლის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ჩატარდა სასკოლო ოლიმპიადა „მხიარული სტარტები", გაიმართა ღია პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მასობრივი სპორტული აქტივობები, სადაც 500-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, ასევე, ტრადიციულად იმართება წლის საუკეთესო სპორტსმენების, საუკეთესო მწვრთნელის გამოვლენა და დაჯილდოების ცერემონია.
აღსანიშნავია ველოსპორტში მიღწეული შედეგები, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს ნაკრებში ირიცხება სკოლის 8 ველომრბოლელი, მათ შორის ევროპულ ახალგაზრდულ ფესტივალზე სკოლას ჰყავს 2 მონაწილე, ისინი მონაწილეობდენ საგზატკეცილო, სამთო და ტრეკზე ველოსპორტში (ყველა ოლიმპიური სახეობა) გამართულ შეჯიბრებებში და შთამბეჭდავ შედეგებს აღწევენ.

მიღწეული შედეგები: ხელშეწყობილია მოზარდების ჩართულობა მასობრივ სპორტში.

05 01 01 05 საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 627,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 591,2 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი- 94,3%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში გაიცა 5922 აბონემენტი, მ.შ. სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებზე - 483, მარჩენალდაკარგულზე - 6, მრავალშვილიანზე - 1, იძულებით გადაადგილებულ პირებზე - 361, შ.შ.მ პირებზე - 11.

კომპლექსში მომხმარებლის უსაფრთხოებაზე ზრუნავს 3 კვალიფიციური ექიმი, აუზზე - 6 მაშველი, მოქმედებს სატრენაჟორო დარბაზი, სადაც მუშაობს 2 ინსტრუქტორი, აერობიკის მწვრთნელი; იჯარის ხელშეკრულებით გაიხსნა დიდი სპორტული დარბაზი, სადაც მიმდინარეობს ვარჯიშები ტანვარჯიშის და ფრენბურთის ჯგუფებში.

ყოველი დღის ბოლოს ხორციელდებოდა აუზების დეზინფექცია, წყლის სინჯების შემოწმება მიკრობიოლოგიური კვლევის სახით, ყურადღება ექცევა სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვას.

მიღწეული შედეგები: სპორტში საზოგადოების ჩართულობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

05 01 01 06 რაგბის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 150,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 150,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რაგბის კლუბის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

საანგარიშო პერიოდში მცხეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 4 სარაგბო წრე (სოფ. საგურამოში - 2, სოფ. წეროვანში - 2), სადაც 5 სერტიფიცირებული მწვრთნელის მეთვალყურეობით სხვადასხვა ასაკის 100-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს.

გამოყოფილ იქნა სავარჯიშო მოედნები, შეძენილ იქნა სავარჯიშო და სათამაშო ინვენტარი;

მიღწეული შედეგები: ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სარაგბო სპორტის განვითარების ხელშეწყობა;

05 01 02 სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 3 136,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 017,5 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 64,3%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოფ. წილკანში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია; სოფ. ქსოვრისში საჭიდაო დარბაზის მშენებლობა (ს/კ 72.01.03.487); სოფ. წეროვანში არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთება და რეაბილიტაცია; სპორტული ინვენტარის შეძენა; სპორტული მოედნების რეაბილიტაცია; სოფ. მუხრანში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა.

მიღწეული შედეგები: უზრუნველყოფილია სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: დაგეგმილი სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

05 02 01 01 კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა

განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“.

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 2 027,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 961,3 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 96,8%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები (115): სხვადასხვა კონკურსები, შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტები, თეატრალური დადგმები, ღია გაკვეთილები: მცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის მთავარ ბიბლიოთეკაში საზეიმოდ გაიხსნა მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდული დარბაზი; ცენტრის დავით გამრეკელის სახელობის ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა გუნდმა და ფორტეპიანოს კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისში, საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის საკონცერტო დარბაზში, საქართველოს მუსიკოსთა გაერთიანების მიერ ორგანიზებულ რესპუბლიკურ კონკურს-ფესტივალში „რონდო კლასიკა“, სადაც ლაურეატის წოდება მოიპოვა ორმა მოსწავლემ და ბავშვთა გუნდმა;

ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფები, ინდივიდუალური შემსრულებლები და ანსამბლები წლის განმავლობაში წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონკურსებში, ფესტივალებში: მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „როკვა“ მონაწილეობა მიიღო თურქეთში გამართულ ტრადიციულ ფესტივალ-კონკურსზე - „ეგეოსის თასი 2024“ (გრან-პრი), ქ. ბათუმში, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მიერ ჩატარებულ ფოლკლორულ ფესტივალზე „კავკასია-2024“, სომხეთში გამართულ კონკურსში „ცეკვის ვარსკვლავი 2024“ (გრან-პრი), წაღვერში საერთაშორისო ფესტივალზე „wintestar 2024”; ანსამბლმა სოლო კონცერტი გამართა ქ. ქობულეთის ამფითეატრში, ქ. მცხეთაში - საიუბილეო კონცერტი „როკვა 20 წლისაა“; საქართველოს წლის წარმატებული ანსამბლების დაჯილდოება - ქორეოგრაფიის თამარ მეფის ორდენი; „ოქროს ხალიჩა 2024“ - მცხეთა-მთიანეთის წლის საუკეთესო ქორეოგრაფიული ანსამბლის წოდება;

ცენტრის თოჯინების თეატრმა მონაწილეობა მიიღო ქ. ქობულეთში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალზე „მზიანი საქართველო“ (სხვადასხვა ნომინაცია, დიპლომი); სიღნაღში ბავშვთა და მოზარდთა თეატრალურ ფესტივალში „ქიზიყი 2024“ (საუკეთესო სპექტაკლი, საუკეთესო მიზანსცენა, საუკეთესო სცენოგრაფია, საუკეთესო მეორეხარისხოვანი ქალის როლი).

ბიჭუნათა ანსამბლი „მცხეთა“ - დაბა ბაკურიანში , ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე „ხელოვნების ზეიმი“ - დაჯილდოვდა ფესტივალის დიპლომით.

ხალხურ საკრავთა ანსამბლი - მესამე პრემია და ლაურეატის წოდება მოიპოვა ხობის ხელოვნების კონკურს-ფესტივალზე.

სახელოვნებო განათლების რეფორმის ფარგლებში მათი საჭიროებების აღწერის მიზნით სამუსიკო სკოლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სამუსიკო სკოლების დათვალიერებაში (კონსერვატორიის პროექტი);

სხვადასხვა სპექტაკლები გამართეს ცენტრის თოჯინების თეატრმა და დრამატულმა თეატრმა.

საანგარიშო პერიოდში ხელშეწყობილია ცენტრთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფები, ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, შეძენილია სასცენო რეკვიზიტები.

მიღწეული შედეგები: წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება, ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, ხელშეწყობილია ცენტრთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფები, ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

05 02 01 04 მუზეუმების ხელშეწყობა

განმახორციელებელი - სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“.
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 42,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 42,0 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 100 %.
საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მუზეუმის კომუნალური ხარჯი.
მიღწეული შედეგები: ხელშეწყობილია მუზეუმის ფუნქციონირება.

05 02 03 კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 652,9 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 136,7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 20,9%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრისთვის“.

მიღწეული შედეგები: ხელშეწყობილია კულტურული ობიექტების ფუნქციონირება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: არ გამოცხადდა ტენდერი სოფ. საგურამოს და სოფ. ერედის კულტურის სახლების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე.

05 02 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 11,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 0,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, რაც არ განხორციელებულა.

05 02 05 კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი - ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 309,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 308,3 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 99,8%.

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრმა“ საწესდებო მიზნების შესაბამისად განახორციელა დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები, განხორციელდა მუშაობა ახალ გამოწვევებსა და აქტივობებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ურბანული დაგეგმარების და ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

2024 წლის 9 თვეში მცხეთის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მოემსახურა 39613 უცხოელ ტურისტს, უმრავლესობა ორგანიზებული ტურისტული ჯგუფებია. ყველაზე მეტი ტურისტები იყვნენ გერმანიიდან, პოლონეთიდან, სამხრეთ კორეადან, რუსეთიდან, ჩინეთიდან და ა.შ.

მაღალი ხარისხის ვიდეო-რგოლებისა და ფოტომასალის გადასაღებად შეძენილ იქნა დრონი (საფრენი აპარატი).

მიღწეული შედეგები: შესწავლილია ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ინფორმაცია და გაზრდილია მასზე ხელმისაწვდომობა, ხელშეწყობილია ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ობიექტების ციფრული ფიქსაცია, ტურიზმის განვითარება;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულების %
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,509.7	2,781.7	728.1	79.3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,280.3	1,278.2	2.1	99.8
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	348.3	348.3	0.0	100.0
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	932.0	930.0	2.0	99.8
06 02	სოციალური დაცვა	2,229.4	1,503.4	726.0	67.4
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1,823.9	1,108.9	715.0	60.8

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულების %
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	126.0	126.0	-	100.0
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	4.0	1.0	3.0	25.0
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	57.0	55.2	1.8	96.8
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	85.5	83.8	1.7	98.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	133.0	128.5	4.5	96.6

06 01 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

განმახორციელებელი - ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 348,3 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 348,3 ათასი ლარი (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი 270,3 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი - 100%.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

განხორციელდა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის მონიტორინგის, ასევე, დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები, კერძოდ: ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში (C ჰეპატიტი, აივ ინფექცია/შიდსი) გამოკვლევა ჩაუტარდა 5500 ბენეფიციარს; დედათა და ბავშვთა დაცვის პროგრამით სწრაფი კომბინირებული ტესტებით გამოკვლევა ჩაუტარდა 35 ორსულს, გეგმური იმუნიზაცია ჩაუტარდა სხვადასხვა ასაკის 1539 ბავშვს და მოზარდს; ზედამხედველობა განხორციელდა 14 საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტზე, 29 საბავშვო ბაღზე, 30 საჯარო სკოლაზე; თამბაქოს კონტროლის ფარგლებში შემოწმდა 29 საჯარო სკოლა, 202 სავაჭრო ობიექტი, 39 სილამაზის სალონი, 64 ტრანსპორტი, 53 საჯარო დაწესებულება, 66 კაფე-რესტორანი, 32 სასტუმრო, 4 სტადიონი; გამოვლინდა 8 დარღვევა და რეაგირებისთვის გადაეცა შემოსავლების სამსახურს. ჰელმინთებზე კვლევა ჩაუტარდა 7106 პირს; ჩატარდა საბონიფიკაციო სამუშაოები: ინსექტიციდით დამუშავდა (80000 კვმ ფართობი) ცხოველების სადგომები, სადარბაზოები, სარდაფები, მიტოვებული შენობები.

06 01 02 - მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 932,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 930,0 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 99,8%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების იმ წილის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით, დაფინანსება მიიღო 1482 ბენეფიციარმა, მათ შორის: 195 - სოციალურად დაუცველი ბენეფიციარი, 116 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ვეტერანი - 10; მრავალშვილიანი - 14 ბენეფიციარი.

აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 107 არასრულწლოვან პირს გაეწია ფინანსური დახმარება.

მიღწეული შედეგები: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისთვის გაწეულია მატერიალური დახმარება.

06 02 01 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 1 823,9 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 108,9 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 60,8%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

ჟანგბადის აპარატით მოსარგებლე 10 პირს გაეწია დახმარება ჟანგბადის აპარატით;

ცელიაკიით დაავადებულ 5 ბენეფიციარს გაეწია ფინანსური დახმარება;

მესამე და მეტ შვილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია სულ 73 ბენეფიციარს: მესამე შვილის შეძენის გამო 43 ბენეფიციარს - თითოეულს 300 ლარი; მეოთხე შვილის შეძენის გამო 21 ბენეფიციარს - თითოეულს 400 ლარის ოდენობით, მეხუთე შვილის შეძენის გამო 6 ბენეფიციარს - 500 ლარით, მეშვიდე შვილის შეძენის გამო 2 ბენეფიციარს - 500 ლარით, ხოლო ტყუპების შეძენის გამო 1 ბენეფიციარს - 1000 ლარით.

დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე 3 პირს ცენტრის მომსახურების დაფინანსებისთვის გაეწია ფინანსური დახმარება;

ხანძრის შედეგად დაზარალებულ 8 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება;

18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებულ 2 ბენეფიციარს გაეწია საკურორტო დახმარება;

თავშესაფრის არმქონე 1 ბენეფიციარს დაუფინანსდა საცხოვრებელი ფართის ქირის გადასახადი ექვსი თვით, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებულ 1 ოჯახს -2 თვით;

დღესასწაულებთან დაკავშირებით სასურსათო კალათით დახმარება: აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით სასურსათო პაკეტით დახმარება გაეწია 1745 ბენეფიციარს, დედის დღესთან დაკავშირებით ტკბილეულის კალათა გადაეცათ მრავალშვილიან დედებს - 400 ცალი; ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით სასურსათო კალათა გადაეცა 1900 ბენეფიციარს;

საშენი მასალებით დახმარება გაეწია 265 ოჯახს.

მიღწეული შედეგები: მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

06 02 02 ერთჯერადი სოციალური დახმარება

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური ;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 126,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 126,0 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 100 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: ფინანსური დახმარება გაეწია უმუშევრობის, დაბალშემოსავლიანობის, მძიმე ავადმყოფობის, უსახლკარობის, მარტოხელა მოხუცებულობის ან სხვა მიზეზთა გამო უმწეო მდგომარეობაში მყოფ 927 ბენეფიციარს, აქედან 309 ბენეფიციარს - 200 ლარიანი ერთჯერადი დახმარება, ხოლო ასი და მეტი წლის ასაკის 4 უხუცეს პირს - 1000 ლარიანი ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

მიღწეული შედეგები: მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები.

06 02 03 ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 4,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1,0 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 25,0%;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა:

- 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მსოფლიო ომის მონაწილე 1 ვეტერანზე - 500 ლარი;
- სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების ხარჯები აუნაზღაურდა 4 ბენეფიციარის ოჯახს, თითოეულს 250 ლარი ოდენობით.

მიღწეული შედეგები: ომის ვეტერანების და მათი ოჯახების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა.

06 02 04 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 57,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 55,2 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი -96,8%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: დაფინანსდა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე 29 ბენეფიციარის ყოველთვიური ფინანსური დახმარება.

მიღწეული შედეგები: ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

06 02 05 ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი - ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 85,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 83,8 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 98,0%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაიწყო მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის შენობაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის აშშ-ს საელჩოს თავდაცვითი ურთიერთობების ოფისის მიერ საჩუქრად გადმოცემული 19 000 აშშ დოლარის ღირებულების სასმელი წყლის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის აღჭურვილობის მონტაჟი, კვლევითი ლაბორატორიის ოფისის მოწყობა, რომლის მეშვეობითაც მუნიციპალიტეტი მუდმივ რეჟიმში შეძლებს სასმელი წყლის ხარისხის შემოწმებას.

გაერთიანების ორგანიზებით შპს ავერსის მიერ გადმოცემული სხვადასხვა დანიშნულების მედიკამენტები (დაახლოებით 3000 ლარის ღირებულების) და ადგილობრივი კერძო სექტორის დაფინანსებით გადმოცემული 5 ერთეული წნევის აპარატი და 40 ერთეული სიცხის საზომი თერმომეტრი საჩუქრად გადაეცათ მცხეთის მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს მოსარგებლეებს; გარდა ამისა, მცხეთის მუნიციპალიტეტის უსინათლოთა საზოგადოების წევრებს საჩუქრად გადაეცათ გაერთიანების საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან საჩუქრად მიღებული 100-ზე მეტი საბანი.

გასული წლების მსგავსად, გაერთიანებამ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით, მცხეთის მუნიციპალიტეტში, მათ შორის სოფ. წილკნისა და სოფ. ფრეზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში მცხოვრებ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და საჯარო სკოლის მოსწავლეებს 700 საბანი, ხოლო აღნიშნულ დასახლებაში მცხოვრებ დაახლოებით 500 ოჯახს - 1000 ყუთი ბრინჯი გადასცა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ომის ვეტერანთა 300-მდე ოჯახს გადაეცა 150 ყუთი ბრინჯი და 300 საბანი.

მიღწეული შედეგები: განხორციელებული საგრანტო პროექტები, ჰუმანიტარული დახმარებების მიღება და განაწილება შშმ პირებზე, დევნილებზე და სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე.

06 02 06 მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება

განმახორციელებელი - ა(ა)იპ "მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა - 133,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 128,5 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 97,5 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მზრუნველობამოკლებული და შშმ 38 ბენეფიციარის დღეში ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა სასადილოში.

სასადილოში დაინერგა სურსათის უვნებლობის სისტემის პროგრამა (HACCP), სტანდარტების შესაბამისად დამტკიცებულია ერთკვირიანი მენიუ, სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა.

მიღწეული შედეგები - სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული და შშმ პირების დღიური კვებით უზრუნველყოფა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულების %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	9,661.2	8,293.8	1,367.4	85.8
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	9,192.7	8,143.4	1,049.3	88.6
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,387.8	1,289.8	97.9	92.9
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	7,761.9	6,835.4	926.5	88.1
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება	43.0	18.1	24.9	42.2
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	468.5	150.4	318.1	32.1
01 02 01	სარეზერვო ფონდი	300.0	-	300.0	-
01 02 03	წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)	153.5	150.4	3.1	98.0
01 02 04	მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	15.0	-	15.0	-

01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია;
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 1 387,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 289,8 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 92,9%;

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 976,0 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 210,0 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 1,8 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 92,4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 5,6 ათასი ლარი.

01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია;
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 7761,9ათასი ლარი, საკასო შესრულება - 6835,4 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 88,1%

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 4231,9 ათ. ლარი, საქონელი და მომსახურებაზე- 2161,6 ათ. ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე- 46,7 ათ. ლარი, სხვა ხარჯებზე - 118,0 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 277,2 ათ. ლარი;

01 01 04 საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია;
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 43,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 18,1 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 42,2%;
საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა - საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადება სხვადასხვა სფეროში.

მიღწეული შედეგები:
დანერგილია საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა.

01 02 01 სარეზერვო ფონდი

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია;
საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 300,0 ათასი ლარით, წლის განმავლობაში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ფონდიდან თანხა არ გამოყოფილა;

01 02 03 წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 153,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 150,4 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 98%;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, 2017 წელს ფონდმა სესხის სახით განახორციელა მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის (5 ცალი) და ნარჩენების კონტეინერების (200 ცალი) გადაცემა. სესხის მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 150,4 ათასი ლარი, აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 24,7 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 125,7 ათასი ლარი. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სასესხო ვალდებულება შეადგენს 153,5 ათას ლარს.

01 02 05 მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 15,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 0,0 ათასი ლარი;

2024 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვების განყოფილება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“. სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება, როგორც გამარტივებული, ასევე ელექტრონული შესყიდვით. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებია: ელექტრონული ტენდერი და კონსოლიდირებული ტენდერი.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა 144 ელექტრონული ტენდერი (მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები, პრეტენდენტის მიერ ატვირთული დოკუმენტაციის შერჩევა შეფასება, ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ხელწერილის მომზადება, წერილების და ხელშეკრულების პროექტის მომზადება), მათ შორის: 5 ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით (ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტმა მიიღო დისკვალიფიკაცია), 12 ტენდერი არ შედგა (ტენდერში არ მიიღო არავინ მონაწილეობა), 3 ტენდერი შეწყდა, 124 ტენდერზე გაფორმდა ხელშეკრულება.

1. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 134 ხელშეკრულება.
2. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ გაფორმდა 49 ხელშეკრულება.
3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 24 ხელშეკრულება.
4. „მოქალაქეთა ჩართულობის“ პროგრამის ფარგლებში გაფორმდა 19 ხელშეკრულება.
5. მომზადდა 442 წერილი.
6. გაფორმდა და ელექტრონულად აიტვირთა 120 ხელშეკრულების დანართი-შეთანხმება (თანდართული დოკუმენტაციით).
7. აიტვირთა 360 ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტი.
8. მომზადდა შესყიდვების გეგმის 17 პროექტი თანდართული დოკუმენტაციით (ცხრილები, გეგმის პროექტი, მიმართვა, განმარტებითი ბარათი), რომლებიც შემდგომ ელექტრონულად აიტვირთა PLAN-ში.
9. ელექტრონულად აიტვირთა CMR-ზე 350 ხელშეკრულების დოკუმენტაცია (ფორმა N2 -ები, მიღება-ჩაბარების აქტები, ექსპერტიზის დასკვნები, სასაქონლო ზედნადები, ანგარიშფაქტურა, შესრულებული სამუშაოს ფოტო სურათები).
10. მომზადდა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 43 ბრძანების პროექტი.